

„მითრიდატეს ომები“ და საქართველოს არქეოლოგიური რეალიები

ლევან ვარდოსანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ახვლედიანი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

დეკანს, ბატონ გიორგი გვალას,

ამავე ფაკულტეტის არქეოლოგიის

მაგისტრანტის, ლევან ვარდოსანიძის

განცხადება

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლევან ვარდოსანიძე

2019

მადლობა

ნაშრომის შექმნაში გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ბატონ დიმიტრი ახვლედიანს.

აბსტრაქტი

მითრიდატეს ომები, ეს ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დაპირისპირებაა, რომელიც პონტოს სამეფოს და რომაელებს შორის მოხდა. ჩვენი თემის მსველობისას ვეცდებით პასუხი გავცეთ რიგ საკითხებს, რომელიც ამ ომთან დაკავშირებით წარმოიშვა. განსაკუთრებით, ყურადღებას მივაქცევთ მესამე მითრიდატულ ომს, რადგან ის ეხება იბერიას და კოლხეთს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ ამ ომის მსველობისას წარმოიშვა მრავალი საკითხი, რომელიც დღესდღეობით გადაჭრილი არ არის. ჩვენი ნაშრომი მთლიან მითრიდატულ ომზე არ იქნება ორიენტირებული. ყურადღება გამახვილებული გვექნება პომპეუსის ლაშქრობასა და ვანზე. ასევე როგორ მოახერხა პომპეუსმა არმაზის დაპყრობა, საიდან წავიდა ის, სად იყო დისლოცირებული მისი არმია და ვიმსჯელებთ ამ საკითხზე, რომელიც დღევანდელი დღეისთვისაც გადაუჭრელი გახლავთ. ვანი, ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტი კოლხეთში, მითრიდატესთვის საკულტო დანიშნულების ცენტრი, რომელიც გამაგრებული იყო ფორტიფიკაციით, მოიცავდა იმდროინდელი სამყაროსთვის ყველა ატრიბუტს ალყის გასაძლევად. ვანთან მიმართებით განვიხილავთ რამდენიმე პრობლემას, რომელიც წარმოიშვა. პირველ რიგში იყო თუ არა მითრიდატეს განრიზონი იქ დისლოცირებული. განვიხილავთ ყველა მოსაზრებას, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით დღევანდელ დღემდე არის დაწერილი და ვეცდებით უკვე აღმოჩენილ მასალაზე დაყრდნობით ჩვენი აზრის დაფიქსირებას. აღმოჩენილ მასალაში ძირითადად ვგულისხმობთ მონეტებს, რომლებიც მითრიდატეს მიერ კოლხეთის დაპყრობის შემდგომ იქნა აღმოჩენილი. ასევე მინაბადი მონეტები, რომელიც შეიძლება ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშანი იყოს, რომ ვანში მონეტები იჭრებოდა და შესაძლებელია მითრიდატეს ვაჟი სწორედ ვანის ქალაქიდან მართავდა კოლხეთის ტერიტორიას. ვეცდებით ამ კითხვაზე ჩვენი პოზიცია დავაფიქსიროთ. საბოლოოდ ვანის განადგურების საკითხი, თუ ვის მიერ იქნა განადგურებული. ჩვენ მოვიყვანთ სხვადასხვა მოსაზრებებს, განვიხილავთ მათ და ვეცდებით უკვე წამოჭრილ თეორიებზე უფრო ზუსტი პასუხი გავცეთ.

Abstract

Mithridatic wars this is one of most important conflicts that happened in ancient world between Pontic kingdom and Rome. During process of our research we will try to answer questions that arouse in process of this war. Our main focus will be third mithridatic war because it includes Iberia and Colchis (Georgian) territories.

As I have told before during this war arouse many questions which as of today are not still answered. In our research it will not be focus on all mithridatic wars, main focus will be the last one of the main question which will be discussed during our research will be pompey campaigning how was he able to capture Armazi destination from which way he starter his march and locations of his legions we will discusse this subject which at this point is still hot topic among scientist.

Vani one of main firm point for mithridates in Colchis, religious center which was fortified with all technologies of that time for siege defense. We will discuss few scientific questions which are in relation to Vani. First one will be about Mithridatic garrison signs of their activity in Vani. We will discuss all opinions that are asked about this subject as of today and try to answer that are based on archaeological finds till this day. Archaeological finds which was mentioned are basicly coins which are found after mithridates conquered colchis also coinciding mithridatic coins which are found in Vani. Scientis think that based on this archaeological find might meen that it was produced in Vani and also mithridates son which he sent to rule colchis Vani might be his capital city we will try to answer that question if it true or not.

Last subject will be destruction of Vani. Many scientist have different opinion for who has done it We will discuss all of them and try to based your answer on it.